



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/54

“ 22 ” მაისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნ. მამულაშვილის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 4¹ პუნქტის შესაბამისად, ნინო მამულაშვილი 2017 წლის 25 მაისიდან გამწესდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე-36⁴ მუხლების შესაბამისად 2017 წლის 25 მაისიდან 2020 წლის 25 იანვრამდე პერიოდში ნინო მამულაშვილის შეფასების მიზნით განხორციელდა 6 დამოუკიდებელი შეფასება საბჭოს სამი მოსამართლე (თ. ონიანი; ვ. მშვენირაძე; დ. გვრიტიშვილი) და სამი არამოსამართლე (ა. დოლიძე; ლ. გზირიშვილი; ი. გელაშვილი) წევრის მიერ. აღნიშნული შეფასებების შედეგად მოსამართლე აკმაყოფილებს კანონით დადგენილ კრიტერიუმებს. კერძოდ, ექვსივე წევრი მიიჩნევს, რომ მოსამართლე სრულად აკმაყოფილებდა კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მოსამართლე ნინო მამულაშვილის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი შეადგენს 527 ქულას, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის (600 ქულა) 87,83%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით (**მომხრე:** ი. ბონდარენკო; ი. გელაშვილი; ლ. გზირიშვილი; დ. გვრიტიშვილი; ნ. მარსაგიშვილი; გ. მიქაუტაძე; ვ. მშვენირაძე; რ. ნადარაია; თ. ონიანი; შ. ქადაგიძე; ი. შენგელია; ზ. ხარებავა. **წინააღმდეგი:** ა. დოლიძე; ნ. ჯანეზაშვილი) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4, 4¹ და 4² პუნქტების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო მამულაშვილი 2020 წლის 25 მაისიდან თანამდებობაზე გამწესდეს უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი